ხელმძღვანელი: გიორგი ხიმშიაშვილი giorgi.khimshiashvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge

პროგრამის დასახელება: პროგრამული ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი/Master of Software Engineering

პროგრამის მოცულობა: 4 სემესტრი, 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის: „პროგრამული ინჟინერია“ მიზანია, მოამზადოს დარგის მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც პასუხობს სფეროში არსებულ გამოწვევებს და ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე:

- შეუძლია სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევის/პრობლემის ეფექტურად გადასაჭრელად კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დამოუკიდებლად შემუშავება, განვითარება, ტესტირება, შეფასება და ინოვაციური მეთოდებით მართვა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- შეუძლია პროფესიული დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების დაცვა/დასაბუთება ეთიკური ღირებულებების და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს:

- აქვს პროგრამული ინჟინერიის უახლესი თეორიების, პროგრამების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დიზაინის შემუშავების, პროგრამების ტესტირების, ვერიფიკაცია-ვალიდაციის, განვითარების, დანერგვის და მართვის უნარი;
- აქვს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროგრამული ინჟინერიის დარგში არსებული პრობლემების/გამოწვევის ანალიზის, შეფასების და პროგრამული უზრუნველყოფის სანდო, ეფექტიანი და ინოვაციური გადაწყვეტილების შემუშავების უნარი;
- აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, დასაბუთებული არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, როგორც ვერბალურად, ისე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- შეუძლია დარგისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მოძიება და შესწავლა საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: შოთა ცისკარიძე shota.tsiskaridze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: ანა კვარაცხელია ana.tchrelashvili@iliauni.edu.ge

ტექნოლოგიის სკოლა

სადოქტორო პროგრამა

პროგრამის დასახელება: მათემატიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი/PhD in Mathematics

პროგრამის მოცულობა: 6-10 სემესტრი, 48 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

მათემატიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია ახალი თაობის მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ალგებრის, გეომეტრიის, ტოპოლოგიის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკის მიმართულებებიდან ერთ-ერთის ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების ინოვაციურ კვლევას მათემატიკის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით და შექმნილი ახალი ცოდნის ვალიდაციას საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციის გზით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- მათემატიკის ერთ-ერთი მიმართულების (ალგებრა, გეომეტრია, ტოპოლოგია, დიფერენციალური განტოლებები, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკა) ფარგლებში ცოდნის გაფართოების უნარი ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრის მიზნით ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების გზით;
- მათემატიკის სფეროში ახალი ცოდნის გავრცელების უნარი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების საშუალებით;
- ცოდნის ტრანსფერის უნარი სააუდიტორიო სწავლების პროცესში;
- სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების შექმნისა და კვლევის შემდგომი პროცესების განვითარების უნარები.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

ხელმძღვანელი: გიორგი ხიმშიაშვილი giorgi.khimshiashvili@iliauni.edu.ge

კოორდინატორი: გვანცა ლორთქიფანიძე gvantsa.lortkipanidze@iliauni.edu.ge



განათლების სკოლა

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის დასახელება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით) /

MA in Education (Primary School (I-IV grades) with the right to teach Georgian Language and Literature, Mathematics and Natural Sciences)

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი (10 სემესტრი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოზე მორგებული კონკურენტუნარიანი, უახლესი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების (I-VI კლასები) ან სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომლებიც სიღრმისეული და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ:

- შესაბამისი საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის გამოვლენას სწავლებისას;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას;
- პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას;
- მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, რაოდენობრივი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, პრობლემის იდენტიფიცირების, მისი ავტონომიურად და ეფექტურად გადაჭრის უნარი.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. სწავლებისას ავლენს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლისთვის (I-VI კლასები) აუცილებელ საგნობრივ ცოდნას;
2. მსჯელობს პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და ქმნის როგორც მთლიანად კლასის, ისე თითოეული მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;
3. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, მდგრადი განვითარების პრინციპების, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის მიზნობრივი გამოყენებით შეიმუშავებს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებს და მათზე დაყრდნობით უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური, მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას;
4. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს, მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;
5. ავლენს შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევის /მოდифიცირების/ შექმნის ფართო ცოდნას და იყენებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაზომად;
6. აანალიზებს მოსწავლეთა შეფასების შედეგებს და იყენებს როგორც მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებისთვის, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის;
7. გეგმავს და წარმართავს კლასგარეშე საქმიანობას მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
8. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევა, კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება;
9. საკუთარი საქმიანობის მუდმივი და მრავალმხრივი რეფლექსიისა და დარგში მიმდინარე სიახლეების საფუძველზე ადგენს პროფესიული განვითარების საჭიროებებს და შეიმუშავებს პროფესიული განვითარების გეგმას;
10. მსჯელობს მასწავლებლის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის როლზე და სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მშობლებთან/მეურვეებთან ეფექტური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით ჩართულია თითოეული მოსწავლის, სკოლისა თუ თემის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესებში.

პროგრამის არჩევითი მოდულების სწავლის შედეგები (საზოგადოებრივი მეცნიერებები, სპეციალური მასწავლებელი)

სწავლის შედეგები საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის მოდულისთვის

1. მსჯელობს ძირითად ცნებებზე და მოვლენებზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში და მათზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის კლასიფიცირებას, ანალიზს, განსხვავებული კონცეფციების შეპირისპირებას და ლოგიკური ურთიერთმიმართებების გამოვლენას;
2. აანალიზებს მნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებს და

- მსჯელობს საზოგადოებაზე მათი გავლენის შესახებ;
3. საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლებისას ქმნის თითოეული მოსწავლის კოგნიტური და სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;
 4. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ სტანდარტსა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავებს ინტერდისციპლინარულ თემატურ ერთეულებს, რომლებიც აერთიანებს საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ დისციპლინებს; მათზე დაყრდნობით წარმართავს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და აფასებს მიღწეულ შედეგებს;
 5. მოიძიებს/ქმნის და მიზნობრივად იყენებს საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის საჭირო სასწავლო რესურსებს;
 6. შეიმუშავებს და ახორციელებს საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების კლასგარეშე პროექტებს, რითაც მოსწავლეებს წაახალისებს გახდნენ ინფორმირებული და აქტიური მოქალაქეები;
 7. მსჯელობს მოსწავლეებში გლობალური მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებაზე და დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას უზრუნველყოფს ამ კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს;
 8. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მოსწავლეთა სწავლის შედეგების ანალიზის, კოლეგებისაგან მიღებული უკუკავშირისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე აფასებს საკუთარ პრაქტიკას.

სწავლის შედეგები სპეციალური მასწავლებლის მოდულისთვის

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. მსჯელობს ინდივიდის შემეცნებით, სოციალურ, ემოციურ, ქცევით, ადაპტურ, მოტორულ უნარ-ჩვევებზე და ჰოლისტური განვითარების ასაკობრივ თავისებურებაზე, შესაბამის მიდგომებსა და თეორიულ საფუძვლებზე;
2. მსჯელობს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიურ, ისტორიულ, სამართლებრივ ასპექტებზე;
3. განიხილავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევას მთლიანობითი (ჰოლისტური) შეფასების პრინციპის გათვალისწინებით და აფასებს წინა აკადემიურ და აკადემიურ უნარ-ჩვევებს და მიზნობრივად იყენებს განვითარების ხელშემწყობ სტრატეგიებს;
4. იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, დიფერენცირებულ მიდგომას საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას;
5. მონაწილეობას იღებს სასკოლო გარემოში პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი მიდგომების, პროგრამებისა და სტრატეგიების დანერგვაში;
6. მსჯელობს კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებზე და გეგმავს სამუშაო პროცესს პროფესიული საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში;
7. ირჩევს პროფესიული პრაქტიკის განვითარებისა და გაუმჯობესების ეფექტურ გზებს;

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

სოფიკო ლობჯანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა

საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
/Bachelor of Preschool Education

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი):
თავისუფალი კომპონენტი -ზოგადი მოდული - 48 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფერო - 132 კრედიტი
დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, მოამზადოს სკოლამდელი განათლების კონკურენტუნარიანი, რეფლექსური და შემოქმედებითი სპეციალისტი, რომელსაც:

- შეუძლია ბავშვზე ცენტრირებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებით ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- აქვს ადრეული განათლების სისტემური ხედვა, რათა შეძლოს სხვადასხვა სისტემის სპეციფიკის, მრავალფეროვნებისა და ურთიერთგავლენის გააზრება;
- დაუფლებულია საკუთარი და სხვების ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, თვითგამოხატვისა და ტოლერანტობის ხელშეწყობ სტრატეგიებს, როგორც ადრეულ განათლებაში პროფესიული საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს;
- შეუძლია პროფესიულ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, წარმატებული პრაქტიკისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციის გაცემა და/ან განხორციელება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. იაზრებს ბავშვის (დაბადებიდან 8 წლამდე) კეთილდღეობასა და ჰოლისტურ განვითარებას ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტების, ადრეული განათლების თეორიებისა და მოდელების (მათ შორის მულტილინგვური განათლებისა და მეორე ენის ათვისების) კრილში;

2. აფასებს, გეგმავს და ქმნის ეფექტურ, დემოკრატიულ და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებულ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც მრავალფეროვანი თამაში არის ხელშეწყობილი;
3. ბავშვებთან ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისას იყენებს თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებსა და მიდგომებს;
4. ოჯახთან და თემთან იყენებს პატივისცემაზე, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობ სტრატეგიებს;
5. უზრუნველყოფს საკუთარი და სხვისი პრაქტიკის უწყვეტ შეფასებას, რეფლექსიასა და გამოცდილების გაზიარებას გუნდური მუშაობის პრინციპებისა და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით;
6. კოლეგებთან თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკის კვლევას არსებული პრაქტიკის სრულყოფის მიზნით;
7. არის შემოქმედებითი, ავტონომიური, გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი და ამასთანავე წახალისებს ბავშვების ავტონომიურობას, ცნობისმოყვარეობას, შემოქმედებითობასა და თვითგამოხატვას.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

ხათუნა დოლიძე ასოცირებული პროფესორი

კოორდინატორი:

მარიამ ბეჟიტაშვილი mariam.bezhitashvili@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების

მაგისტრი/Master of Education Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი, 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადი ან უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სფეროში კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც:

1. კვლევის შედეგების საფუძველზე უზრუნველყოფს განათლების პროცესების მართვას და საგანმანათლებლო პროცესების ტრანსფორმაციას;
2. აღჭურვილია განათლების სექტორში ლიდერისთვის საჭირო კომპეტენციებით და მოქმედებს პროფესიული და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით;
3. დამოუკიდებლად ავითარებს საკუთარ პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებული:

1. იყენებს ეფექტიანი ლიდერობისა და ცვლილების მართვის პრინციპებს კომპლექსურ და დინამიურ გარემოში საგანმანათლებლო ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშესაწყობად;
2. გეგმავს და აფასებს სტუდენტზე/მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს სწავლა-სწავლების თეორიების, კურიკულუმის განვითარებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით;
3. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს არსებულ თეორიებსა და კვლევებს, რომლებიც შეეხება განათლების ადმინისტრირების და ლიდერობის საკითხებს, განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და იყენებს მას საგანმანათლებლო ორგანიზაციის გამოწვევებისა და მიზნების საპასუხოდ;
4. თეორიაზე დაყრდნობით და შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ატარებს კვლევას კვლევის ეთიკის ნორმების დაცვით;
5. ორგანიზაციული და საგანმანათლებლო პროცესების მართვისას ეფექტურად იყენებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის სტრატეგიებსა და თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
6. წარმართავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით;
7. საკუთარი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე,

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

ელენე ჯიბლაძე elene.jibladze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

მარიამ ბეჟიტაშვილი

mariam.bezhitashvili@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა სადოქტორო პროგრამა

პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი /PHD in Educational Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 3-5 წელი 6-10 სემესტრი, 180 კრედიტი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მკვლევრები, რომელთაც ექნებათ უნარი განათლების მეცნიერებასა და მის მომიჯნავე დისციპლინებში არსებული ცოდნის სინთეზით განახორციელონ უახლეს მეთოდოლოგიაზე დამყარებული ინოვაციური კვლევები განათლების პოლიტიკის/საგნის დიდაქტიკის მიმართულებით დარგში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, შეძლონ კვლევის შედეგების გაზიარება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და გახდნენ კონკურენტუნარიანი, როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში (მაგ. კერძო. სახელმწიფო ან არასამთავრობო), რომელთა საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება უახლესი კვლევის შედეგები.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. განათლების პოლიტიკის ან საგნის დიდაქტიკის სფეროში აქტუალური საკვლევი საგანმანათლებლო საკითხისა თუ პრობლემის შესასწავლად, შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის, თეორიული პერსპექტივებისა და ინოვაციური ინტერდისციპლინარული მიდგომების შერჩევისა და სინთეზის საფუძველზე, ქმნის კვლევის დიზაინს ორიგინალური კვლევის ჩასატარებლად;
2. დამოუკიდებლად ატარებს კვლევას, აანალიზებს შედეგებს, რომლითაც აფართოებს დარგში არსებულ ცოდნას;
3. ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, ამყარებს ფართო საზოგადოებასთან ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, მათ შორის, აქვეყნებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციას;
4. კვლევების ჩატარებისას ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს;
5. იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
6. ავლენს საუნივერსიტეტო დონეზე სწავლებისთვის და აკადემიური ხელმძღვანელობისთვის საჭირო კომპეტენციებს და ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას საუნივერსიტეტო სივრცეში;

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი:

მარიკა კაპანაძე marika_kapanadze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

მარიამ ბეჟიტაშვილი mariam.bezhitashvili@iliauni.edu.ge

განათლების სკოლა

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამები (სასერტიფიკატო)

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი საგნის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც შეძლებენ:

- პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას;
- რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებასა და პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, პრობლემის იდენტიფიცირების, მისი ავტონომიურად და ეფექტურად გადაჭრის უნარი.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით უფროსი მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

საერთო ყველა მიმართულებისთვის

1. მსჯელობს პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და ქმნის საბაზო და საშუალო საფეხურის როგორც მთლიანი კლასის, ისე თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებზე, ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებსა და სწავლების შესაბამის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლების, რემედიაციის მიზნობრივი გამოყენებითა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავებს კურიკულარულ და ექსტრაკურიკულარულ

სასწავლო გეგმებს და მათზე დაყრდნობით ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.

3. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;

4. შეფასებას იყენებს როგორც სწავლის შედეგების გასაზომად, ასევე სასწავლო შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვისთვის, ავლენს შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევის /მოდифიცირების/ შექმნის ფართო ცოდნას და იყენებს პრაქტიკაში მიზნობრივად როგორც მოსწავლეების, ასევე საკუთარი პრაქტიკის შეფასებისთვის;

5. ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით აანალიზებს და აფასებს საკუთარ, პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებს.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

სოფიკო ლობჯანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი საგნის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც შეძლებენ:

- პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას;
- რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებას, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, პრობლემის იდენტიფიცირების, მისი ავტონომიურად და ეფექტურად გადაჭრის უნარი.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით უფროსი მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებული:

საერთო ყველა მიმართულებისთვის:

1. მსჯელობს პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და ქმნის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის როგორც მთლიანი კლასის, ისე თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებზე, ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებსა და სწავლების შესაბამის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლების, რემედიაციის მიზნობრივი გამოყენებითა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავებს კურიკულარულ და ექსტრაკურსულარულ სასწავლო გეგმებს და მათზე დაყრდნობით ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.
3. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;

4. შეფასებას იყენებს როგორც სწავლის შედეგების გასაზომად, ასევე სასწავლო შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვისთვის, ავლენს შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევის /მოდულიზაციის/ შექმნის ფართო ცოდნას და იყენებს პრაქტიკაში მიზნობრივად როგორც მოსწავლეების, ასევე საკუთარი პრაქტიკის შეფასებისთვის;
5. ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით აანალიზებს და აფასებს საკუთარ, პროფესიულ საქმიანობებს და გეგმავს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებს.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

სოფიკო ლობჯანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge

სასერეტიფიკატო პროგრამის დასახელება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)

პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც შეძლებენ:

- პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას;
- რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებას, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, პრობლემის იდენტიფიცირების, მისი ავტონომიურად და ეფექტურად გადაჭრის უნარი.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით უფროსი მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

პროგრამის კურსდამთავრებულს:

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. მსჯელობს პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და ქმნის დაწყებითი საფეხურის, როგორც მთლიანი კლასის, ისე თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობ უსაფრთხო, ინკლუზიურ, თავისუფალ, კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებზე, ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებსა და სწავლების შესაბამის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლების, რემედიაციის მიზნობრივი გამოყენებითა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავებს კურიკულარულ და ექსტრაკურიკულარულ სასწავლო გეგმებს და მათზე დაყრდნობით ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.

3. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს, მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;
4. შეფასებას იყენებს როგორც სწავლის შედეგების გასაზომად, ასევე სასწავლო შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვისთვის; ავლენს შეფასების მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევის /მოდულიზაციის/ შექმნის ცოდნას და იყენებს პრაქტიკაში მიზნობრივად როგორც მოსწავლეების, ასევე საკუთარი პრაქტიკის შეფასებისთვის;
5. ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით აანალიზებს და აფასებს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებს.

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

სოფიკო ლობჯანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge

სასერტიფიკატო პროგრამის დასახელება: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის მოცულობა: 1 წელი (60 კრედიტი)
სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოზე მორგებული კონკურენტუნარიანი, უახლესი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომლებიც სიღრმისეული და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ :

- პოზიტიური გარემოს ფორმირებას
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას
- რეფლექსიის საფუძველზე თვითშეფასებას, პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

ამასთან, პროგრამა მიმართულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან და სპეციალური მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები:

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის კურსდამთავრებულნი:

1. მსჯელობს ინდივიდის შემეცნებით, სოციალურ, ემოციურ, ქცევით, ადაპტურ, მოტორულ უნარ-ჩვევებზე და ჰოლისტური განვითარების ასაკობრივ თავისებურებაზე, შესაბამის მიდგომებსა და თეორიულ საფუძვლებზე;
2. მსჯელობს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიურ, ისტორიულ, სამართლებრივ ასპექტებზე;
3. განიხილავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევას მთლიანობითი (ჰოლისტური) შეფასების პრინციპის გათვალისწინებით და აფასებს წინა აკადემიურ და აკადემიურ უნარ-ჩვევებს და მიზნობრივად იყენებს განვითარების ხელშემწყობ სტრატეგიებს;
4. იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, დიფერენცირებულ მიდგომას საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას;
5. მოიძიებს/ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და აპლიკაციებს მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით;
6. მონაწილეობას იღებს სასკოლო გარემოში პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი მიდგომების, პროგრამებისა და სტრატეგიების დანერგვაში;
7. მსჯელობს კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებზე და გეგმავს სამუშაო პროცესს პროფესიული საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში;

შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირები:

პროგრამის ხელმძღვანელი:

სოფიკო ლობჯანიძე sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge

კოორდინატორი:

ანი ჩავლეშვილი ani.chavleshvili@iliauni.edu.ge